სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378
ელ-ფოსტა: patriarchateofgeorgia@gmail.com

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel: (995 32) 2990378
E-mail: patriarchateofgeorgia@gmail.com

ბრძანება #24
სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი
22 მარტი, 2023 წელი

გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის საკითხზე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის ერთობლივი შეხვედრის ოქმის (24 თებერვალი, 2023 წ.) და გელათში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო საქმიანობის ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად:

1. საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნას გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი
2. დროებითი კომიტეტის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე) და მისი შემადგენლობის დამტკიცება დაევალოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი)
3. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნოს საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე, დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი კირიონი (ონიანი) და მასვე დაევალოს კომიტეტის წევრთა კანდიდატების წარდგენა დასამტკიცებლად.
4. ეთხოვოს კულტურული მემკვიდრეობის დარგში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონის ინსტიტუციებს და სპეციალისტებს კომიტეტის საქმიანობაში მონაწილეობა.
5. გელათის კომპლექსის მნიშვნელობიდან და შექმნილი პრობლემებიდან გამომდინარე, გელათის რეაბილიტაცის პროცესი და თავის საქმიანობა კომიტეტმა წარმართოს იუნესკო-ს (UNESCO) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მრჩეველი ორგანიზაციების, - იკომოს-ის (ICOMOS) და იკრომ-ის (ICCROM) რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

დამტკიცდეს საქართველოს საპატრიარქოს

გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დებულება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

23.05.2023 .

საქართველოს გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსადმი UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების,- ICOMOS-ისა და ICCROM-ის,- ერთობლივი საკონსულტაციო მისიის ანგარიშში (28.11 - 02.12; 2022წ.) მოცემული რეკომენდაციების, გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის საკითხზე საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს საპატრიარქოს 2023 წლის 24 თებერვლის ერთობლივი შეხვედრის ოქმის, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის შექმნის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2023 წლის 22 მარტის N24 ბრძანებისა და საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის გაფორმებული 2023 წლის 06 აპრილის ხელშეკრულების საფუძველზე, დამტკიცდეს გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დებულება.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- საქართველოს საპატრიარქოს გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის (შემდგომში - კომიტეტის) უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს.

- კომიტეტის მიზნებია:

  ა) საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული გელათის სამონასტრო კომპლექსის, მისი ტერიტორიისა და მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, დაზიანებისა და განადგურებისგან დაცვა;

  ბ) გელათის სამონასტრო კომპლექსისათვის იმ თავისებურებისა და მახასიათებლების, ასევე, იმ გარემოს შენარჩუნება, რაც განაპირობებს მის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებას;

  გ) UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მისი მრჩეველი ორგანოების,- ICOMOS-ისა და ICCROM-ის,- ერთობლივი საკონსულტაციო მისიის ანგარიშში (28.11-02.12;2022წ) მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით: სარეაბილიტაციო, სარესტავრაციო, საკონსერვაციო და სხვა საჭირო სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა.

  კომიტეტის გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებას გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის საკითხებში.

მუხლი 2. კომიტეტის სტრუქტურა

1. კომიტეტს ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს მოადგილე.

2. კომიტეტში ფუნქციონირებს: კომიტეტის სათათბირო ორგანოები,- ეროვნული სამეცნიერო საბჭო და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, ასევე კომიტეტის ბიურო და მონიტორინგის ჯგუფი.

3. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამეცნიერო საბჭოს მდივანი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან და საბჭოს წევრებთან კონსულტაციით, სათათბირო ხმის უფლებით, იწვევს კულტურული მემკვიდრეობის ან მისი მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს (ექსპერტებს).

4. გადაწყვეტილებებს იღებს კომიტეტის თავმჯდომარე. კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით კომიტეტის გადაწყვეტილებებსა და სხვა დოკუმენტებზე ხელმოწერის უფლება ასევე აქვს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

5. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე უფლებამოსილია, თავმჯდომარესთან ერთად ან დამოუკიდებლად დაესწროს ეროვნული და საერთასორისო საბჭოს სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს მათ მუშაობაში.

მუხლი 3. ეროვნული სამეცნიერო საბჭო

1. საბჭო შედგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ადგილობრივი სპეციალისტებისგან.

2. საბჭოს წევრობის კანდიდატებთან მოლაპარაკებასა და წევრების შერჩევას ახორციელებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

3. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მიერ წარდგენილ მეცნიერთაგან, საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე .

4. ეროვნული სამეცნიერო საბჭო შედგება არაუმეტეს 5 წევრისგან.

5. საბჭოს ხელმძღვანელობს მდივანი, რომლის კანდიდატურასაც საბჭოს წევრები და კომიტეტის თავჯმდომარის მოადგილე ირჩევენ ერთობლივი კონსულტაციით და დასამტკიცებლად წარუდგენენ კომიტეტის თავმჯდომარეს.

6. საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3

7. საბჭოს სხდომა, როგორც წესი, იმართება თვეში ერთხელ. საჭიროების შემთხვევაში საბჭო შესაძლებელია რიგგარეშედ შეიკრიბოს კომიტეტის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის მოწვევით, ასევე, საბჭოს მდივნის ინიციატივის საფუძველზე.

8. ეროვნული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი საკითხებისა და საკონსერვაციო პროექტების განხილვას უნდა ესწრებოდეს (საპატიო მიზეზის შემთხვევაში ონლაინ პლატფორმის გამოყენებით) სამუშაოების შემსრულებელი და საკონსერვაციო პროექტის ხელმძღვანელი.

9. გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხსა და საკონსერვაციო პროექტს, აღნიშნული საბჭო განიხილავს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოსთან ერთად და მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩამოაყალიბებს რა საბოლოო სამეცნიერო პოზიციას, კომიტეტის ბიუროს მეშვეობით, დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

10. ეროვნულ სამეცნიერო საბჭოს განსახილველად გადაეცემა:

ა) სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო კვლევითი დოკუმენტაცია;
ბ) რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია;
გ) რეაბილიტაციის პროცესის ამსახველი ანგარიშები;
დ) დასრულებული რეაბილიტაციის ამსახველი ანგარიშები, მათ შორის ფინანსურიც;
ე) ყველა ის საკითხი, რომელიც გელათის რეაბილიტაციასთან არის დაკავშირებული.

11. ეროვნული სამეცნიერო საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი ხმის ოდენობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, საკითხი ხელახლა მომზადდება შემდეგ სხდომაზე წარსადგენად, რომელიც გაიმართება 1 კვირის ვადაში.

12. იმ შემთხვევაში თუ ეროვნული სამეცნიერო საბჭო განმეორებით სხდომაზე კვლავაც ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება საბჭოს მდივანს,

რომელიც ხელს აწერს დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

13. ეროვნული სამეცნიერო საბჭო ვალდებულია, გელათის სამონასტრო კომპლექსში მიმდინარე სამუშაოებს, სულ მცირე 30(ოცდაათ) დღეში ერთხელ გაეცნოს ადგილზე და შეამოწმოს საკონსერვაციო სამუშაოების დამტკიცებული პროექტის მიხედვით მიმდინარეობა.

14. ეროვნული საბჭო ვალდებულია, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის - UNESCO - ს და მისი მრჩეველი ორგანოების – ICOMOS-ისა და ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის ანგარიშში (28.11 - 02.12; 2022წ.) მოცემული რეკომენდაციის (გვ.4; მხ.3.) თანახმად, უზრუნველყოს გელათის მართვის არსებული გეგმის განახლება, რათა მისი საშუალებით მოხდეს მიმდინარე საკონსერვაციო სამუშაოების და პროცესების მართვა.

მუხლი. 4 საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო.

1. საბჭო დაკომპლექტებულია კულტურული მემკვიდრეობის დარგის საერთაშორისო სპეციალისტებისაგან.

2. საბჭოს წევრობის კანდიდატებთან მოლაპარაკებასა და წევრების შერჩევას ახორციელებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

3. კომიტეტის მოადგილის მიერ წარდგენილ მეცნიერთაგან, საბჭოს შემადგენლობას, ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

4. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო შედგება არაუმეტეს 7 წევრისაგან.

5. საბჭოს ხელმძღვანელობს მდივანი, რომლის კანდიდატურასაც საბჭოს წევრები და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირჩევენ ერთობლივი კონსულტაციით და დასამტკიცებლად წარუდგენენ კომიტეტის თავმჯდომარეს.

6. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო სავალდებულო წესით მონაწილეობს გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხისა და საკონსერვაციო პროექტის განხილვასა და სამეცნიერო პოზიციის ჩამოყალიბებაში.

7. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო თავის სამეცნიერო პოზიციასა და რეკომენდაციებს კომიტეტს აწვდის კომიტეტის ბიუროს საშუალებით, მათთვის საკითხის გადაცემიდან 3 (სამი) კვირის ვადაში

8. საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, არის უმნიშვნელოვანესი გზამკვლევი ეროვნული სამეცნიერო საბჭოს მიერ გადასაწყვეტ საკითხებთან მიმართებაში.

9. გელათის რეაბილიტაციის პროცესში, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრები ასრულებენ საერთაშორისო მონიტორინგის ფუნქციას და კალენდარული წლის განმავლობაში, 5 (ხუთ) დღემდე ვადით, განახორციელებენ ძეგლზე მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას.

მუხლი 5. მოწვეული ექსპერტები

1. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამეცნიერო საბჭოს მდივანი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან და საბჭოს წევრებთან კონსულტაციით, სათათბირო ხმის უფლებით, იწვევს კულტურული მემკვიდრეობის ან მისი მომიჯნავე დარგების სპეციალისტებს მოწვეულ ექსპერტებად.

2. მოწვეული ექსპერტების ფუნქცია წარმოადგენს:

ა) როგორც ეროვნული სამეცნიერო საბჭოს, ასევე საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მუშაობაში კომპენტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება.

ბ) კვლევით თუ საპროექტო დოკუმენტაციაზე დამოუკიდებელი შეფასება/რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი 6 . მონიტორინგის ჯგუფი

- კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით დამტკიცებული სამუშაოების შესრულების ხარისხისა და ვადების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის ჯგუფი.
- მონიტორინგის ჯგუფის წევრობის კანდიდატებთან მოლაპარაკებასა და წევრების შერჩევას ახორციელებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
- მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით.
- მონიტორინგის ჯგუფი შემოწმების შედეგებს პერიოდულად წარუდგენს კომიტეტს.

მუხლი 7 კომიტეტის ბიურო

1. ორგანიზაციულ-ტექნიკური კუთხით კომიტეტის შეუფერხებელ საქმიანობას უზრუნველყოფს კომიტეტის ბიურო .

2. კომიტეტის ბიუროს თანამშრომლებს არჩევს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული სამეცნიერო საბჭოს მდივანთან კონსულტაციით და დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტის თავმჯდომარეს.

3. გელათის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ყველა განსახილველი საკითხი და საკონსერვაციო პროექტი, ელექტრონული და დაბეჭდილი ვერსიის ფორმით, ბარდება კომიტეტის ბიუროს.

4. კომიტეტის ბიუროს ფუნქციებია:

ა) ბიუროში შემოსული საკითხები და საკონსერვაციო პროექტები მოამზადოს საბჭოს სხდომაზე წარსადგენად და ორგანიზება გაუკეთოს ეროვნული სამეცნიერო საბჭოს სხდომებს.

ბ) ეროვნული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილი მნიშვნელოვანი საკითხები და საკონსერვაციო პროექტები შესაბამისი პროფილის მიხედვით. გადაუგზავნოს საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრს/წევრებს, ხოლო მათგან მიღებული პასუხი, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ელექტრონული და ბეჭდური ვერსიის ფორმით მიაწოდოს ეროვნული სამეცნიერო საბჭოს წევრებს.

გ) საჭიროების შემთხვევაში ორგანიზება გაუკეთოს ეროვნული სამეცნიერო საბჭოსა და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ერთობლივ შეხვედრებს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით.

დ) საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრებს, არაუგვიანეს 3 (სამი) კვირით ადრე, შეატყობინოს ეროვნული სამეცნიერო საბჭოს წევრებთან (ონლაინ პლატფორმის მეშვეობით) შეხვედრის აუცილებლობის შესახებ; შეუთანხმოს კონკრეტული დრო და გადაუგზავნოს განსახილველი საკითხები.

ე) ეროვნულ სამეცნიერო საბჭოზე და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოზე განსახილველი საკითხები, პროექტები, ანგარიშები და მიღებული გადაწყვეტილებები მოამზადოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ვ) შეადგინოს ეროვნული სამეცნიერო საბჭოს ანდა ეროვნული სამეცნიერო საბჭოსა და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს ერთობლივი სხდომების ოქმები ქართულ ენაზე.

ზ) კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ან/და ეროვნული საბჭოს მდივანთან შეთანხმებით განახორციელოს კავშირი საჭირო პროფესიის პირებთან, ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან.

თ) კომიტეტში მოწვეულ ექსპერტებს ხელი შეუწყოს თავიანთი საქმიანობის სრულფასოვნად და შეუფერხებლად განხორციელებაში

ი) კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაუგზავნოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რათა მათ, თავის მხრივ, კომიტეტისგან მიღებული დოკუმენტაცია მიაწოდონ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს.

კ) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრიდან მიღებული დადებითი შეფასების შემთხვევაში, მოამზადოს დოკუმენტაცია პროექტზე კომიტეტის თავმჯდომარის თანხმობის გასაცემად და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განმეორებით გასაგზავნად, რათა ძეგლზე სამუშაოების ნებართვა იქნას მიღებული.

ლ) კომიტეტის მიერ მიღებული და დამტკიცებული პროექტები მოამზადოს კომიტეტის თავმჯდომარისთვის წარსადგენად.

მ) გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროცესში ყველა კვლევითი და რეაბილიტაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტი, საკონსერვაციო პროექტი, გადაწყვეტილება, კორესპონდენცია და სხდომების ოქმები დაარქივოს 2 (ორ) ეგზემპლარად, საქართველოს საპატრიარქოში და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარსადგენად.

მუხლი 8. გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. კომიტეტი ანგარიშვალდებულია საზოგადოებასთან ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობაზე. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნება ინტერნეტ პლატფორმა, სადაც დეტალურად გაშუქდება გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროცესი და ითანამშრომლებს მედია საშუალებებთან.

2. გელათის სამონასტრო კომპლექსის, მისი სულიერი და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და მნიშვნელობის ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად კომიტეტი ითანამშრომლებს სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მედია საშუალებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით, კომიტეტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.